# ალექსანდრეს ბაღი

ალექსანდრეს ბაღის სკამზე
დახეული ბარათი,
ეგდო როგორც მკვდარი გედი,
როგორც სევდა მარადი.

„ჩვენ ამ ბაღში პაემანზე
მთელი წელი ვიდოდით.“
გაწყვეტილი აზრის ბოლოს
ჩანდა სიტყვა „მშვიდობით!“

გული დამწყდა. შემოდგომის
ცივმა ქარმა დაჰქროლა
წერილი კი გაყვითლებულ,
ფოთლებს თან გააყოლა!

ასე გაჰყვა ბედისწერას
პირმცინარი გოგონა,
ჩემზე კარგად იცით ბევრმა
ქვეყნად ხდება როგორაც...

თვალებში დგას ჩუმი სევდა,
ღიმილით შეფერილი,
ო, რა დიდხან ათამაშა
ქარმა მისი წერილი...

დრო გავიდა... ეფინება
მწვანე მდელოს სხივი მზის,
ალექსანდრეს ბაღის სკამზე
ახლა სულ სხვა წყვილი ზის!

აღარავის აღარ ახსოვს
სიყვარულის ბარათი,
არაფერი არ ყოფილა
ქვეყანაზე მარადა!

# მცხეთა

მოვდივარ, ვმღერი თან მომყვება
შრიალი ხეთა,
კამკამა მტკვარში ირეკლება
ნანატრი მცხეთა!

დამლოცავს წმინდა სამკუთხედი
ქართველი ერის:
სვეტიცხოველი, სამთავრო
და ჯვრის მონასტერყ!

ხორკლიანი ხეები ხეკორძულას ხევში,
წამლეკავი წვიმებით წაზნექილი წელში,
საქართველოს სათავე – სამთავროთა ეშხი
მცხეთა! – მადლი მცხეთა!
მაცხოვარი მზეში!

მოვდივარ შენთან, მშვენიერო
პირველ ქალაქო!
შენი ტაძრიდან
მინდა უფალს ველაპარაკო!

შენთვის ვილოცებ საქართველო,
ვიმღერებ შენთვის...
მწამს, შეგვეწევა
დიდი მადლი პატარა მცხეთის!

# წიგნი

მარჯნის თითთა მიმოფრენა
ახსოვთ შავ-თეთრ კლავიშებს.
სიყვარული - წმინდა ცრემლით
დაპკურებულ ბალიშებს...

გულგრილობა – ზაჰესივით
მოელვარე რესტორანს.
ძმაბიჭობა, მტკვარზე ტივი
- ძველ მედუქნე ნესტორას...

ბალერინა ახსოვს სცენას,
თავის მსუბუქ ნახტომით,
ძაღლს არასდროს ავიწყდება,
მისი ძველი პატრონი...

საყვავილეს ახსოვს ია,
- გაზაფხულის დესპანი.
სტუდენტს ჩათვლის წიგნაკი და
ბრაზიანი დეკანი!

მატარებელს - მგზავრები და
მარტოსული მეისრე...
ტახტი ოხვრით გაიხსენებს
ზურგსშემოჯდარ კეისრებს...

ჩემოდანი ჭრელა-ჭრულებს,
იატაკი - ხალიჩებს...
თითო ხსოვნას, მოკლედ რომ ვთქვა,
ბევრი გაიჩალიჩებს...

მაგრამ ხსოვნა არ იქნება,
ქვეყნად რაც არ გინახავს!
მხოლოდ წიგნი ყველას ხსოვნას
გრაალივით ინახავს!

1994

# გული

გული პატარა სამყაროა
ვარსკვლავებით და მზით...
გულში მრავალი საღამოა
მთვარით ბაღით და ზღვით...

გულში ჭადრები შრიალებენ
გზას ულოცავენ წყვილს,
მერე კაცები ჭიქებს სწევენ
გარეთ კი წვიმს და წვიმს.

გულში ათასი ზღაპარია
ქართულ მთების და ტყის...
გული სიკეთის ლამპარია
მანათობელი გზის...

გულში პატარა ჩიორაა,
სამოთხისდარი ხმით.
და იქვე მწარე ჭრილობაა,
- ხსოვნად ორგული ძმის!

გული გააღეთ! ავდარია!
თავშესაფარი - მწირს!
გული პატარა საყდარია
სანთლით, ხატით და ჯვრით!

## ბათუმი. პლაჟი.

ხსოვნის ტალღაზე ვხედავ
ფრაგმენტს გარდასულ ფილმის,
მაბნევს და მაინც ვბედავ:
გიღიმი, გიღიმი...

შენ თეთრ შეზლონგზე წევხარ,
მიცქერ ირიბი მზერით...
შოკოლადი და რძე ხარ:
გიმღერი! გიმღერი!...

ისეთი ლურჯი
თვალები...
ისეთი ურჩი,
თავნება!
ვერ გადავურჩი,
ამ გამოუცნობ
არსებას...

...მერე მიდიხარ ზღვასთან,
გიცქერს ათასი თვალი...
ასეთი მაინც რა ხარ:
ქალი თუ ღმერთქალი!

მზის ელვარება მწვავს თუ,
შენი მხურვალე ტანი...
გაახსენდები ბათუმს
ისე, ვით სიზმარი!

ისეთი ლურჯი
თვალები,
ისეთი ურჩი,
თავნება,
ვერ გადავურჩი!...

1993

## ალ კაპონე

(სიცილ-სიზმარი)

დამესიზრმა სან-ფრანცისკო...
საოცარი ხიდებით...
ფანტასტიურ გოგონებით,
შავი ლიმუზინებით...

იყო რესტორანი, ჟღერდა ჯაზ-ორკესტრი,
სევდა სვინგნარევი...
იყო იდილია, რაღაც იისფერი
რაღაც გადასარევი!

შემოვიდა ალ კაპონე,
განუყრელი ამალით...
ამაყი და თავმომწონე,
ბაფთიანი მამალი!

ერთი-ორი გაისროლა,
ერთი-ორი - დალია... მაფიოზმა განთქმულმა,
მერე ჩემსკენ მოიხედა:
„რავა ხარო ძმია!“ - ჩამჩურჩულა ქართულად!

„არვინ იცის ქვეყანაზე,
თუმც დიდად ვარ განთქმული!
- ალიკა ვარ, ბიჭო, კაპანაძე,
მენატრება ქართული!

...და დილამდე ვიქეიფეთ,
„შამპანი“ ვსვით თასებით...
აქეთ - მულატები, იქეთ - განგსტერები!
დიქსილენდი! ჯაზები!

რომელიღაც მაგიდიდან
გაისროლეს უცებ ფიშტო...
(გამეღვიძა...) „ჩაო, ჩაო, საოცარო
სან-ფრანცისკო!!!“

1992

მთვარე ჰყვება ლეგენდას,
უსმენს მიწა დაღლილი . . .
სიზმრად შემოიხედავს
საუკუნე ჩავლილი. . .

დგას ბერმუხა მძლავრ ფესვზე,
მუმლი შემოხვევია,
და ილიას თვალებზე
საქართველოს ცრემლია.

მის: ეს საწუთრო ასეა, მივალთ მიჟედინებით...
გული რწმენით სავსეა, იმედებით სავსეა,
საქართველოს შვილების.
ეს საწუთრო ასეა, მომავალი კარზეა!
ნიჭით გამოვბრწყინდებით!

მზე ოქროს ტახტს დაიჭერს,
ივერთ მიწას დაჰხარის,
მალე შემოაბიჯებს
საუკუნე ახალი!

დგას ბერმუხა მძლავრ ფესვზე,
გაჰქრა ძველი ტკივილი.
კრთის ილიას ბაგეზე,
საქართველოს ღიმილი!

*******

ის მარტოდმარტო ცხოვრობდა მთებში,
ჩუმი ღიღინით ვიდოდა მთა-მთა
და როს ღმერთს მისი ხმა ბეზრდებოდა
ის საუბრობდა საკუთარ თავთან...

ბევრჯერ აცივდა და ბევრჯერ დათბა,
თვალწინ გაფრინდა გრძელ წელთა რიგი
და როცა წლების მობეზრდა დათვლა,
საკუთარ თავსაც მობეზრდა იგი.

ო, მარტოობავ, გათობავ ღმერთის!
აუწეველო სიმძიმევ კაცთა...
ნუგეშად გვერგო ჩვენ ერთმანეთი
ვით უკვდავების მაცდური განცდა...

გარინდებული იდგა ქვეყანა,
და მხოლოდ იგი მღეროდა სოლოს...
აპლოდისმენტად თვით ვარსკვლავთცვენა
და ეს დიდებაც მობეზრდა ბოლოს...

***

სიმყუდროვით სრულით,
ომგადახდილ გულით,
ბედღურების გადაძახილს ვუსმენ...
წიგნში ჭკნება ვარდი,
თქვენი მისამართი
შეუნახავს გაყვითლებულ ფურცელს...
ახლა, რაც დავშორდით,
რატომ მომაგონდით?
თავს აუხდენ სურვილებში ვიჭერ...
კვნესის ეს აკორდი:
„მოდი, მოდი, მოდი!“
და ცრემლებს ჰგვრის
თმაშევერცხლილ ბიჭებს.
პოეზია შელლის,
ახლა ისე მშველის,
ბაირონიც დამავიწყდა ურჩი...
დღეს ერთმანეთს ველით
მოქიშპენი ძველი:
თქვენ სიყვარულს
ვინაც გადავურჩით!

# ალექსანდრეს ბაღი

**Allegretto**



# ბაკურიანი


Allegro
Am
თეთ რი რელ სე ბით
C
მთი დან ვეშ ვე ბით
Dm
E7
და "კუ კუშ კა" მიგ ვაქ რო ლებს წინ
Am
Am
ცო ტაც და ი სვე
C
თბი ლისს ვიქ ნე ბით
Dm
E7
და მე გობ რებს მო ვი გო ნებთ
Am
შინ
Dm
C
და მე გობ რებს მო ვი გო ნებთ
G
შინ
Dm7
G7
და მე გობ რებს მო ვი გო ნებთ
C
შინ
E7

# ბათუმი

**Moderato**



# ბათუმო მზეო

**Allegro**



# წერეთელო დაგვიბარე



# დალოცვილ იყოს

**Moderato**



# ეს იყო მაშინ

**Allegro**



# გაილიმე


Allegretto (Samba)
G D9
ზღა პარ ი ყო მზე ი ყო და ბა ღი ი ყო თე თრმა
Am7 Am7
გო გომ ზღვას თან ფო ტო გა და ი ღო
Cm G Am
ვი დე ქით ზღვის პი რას ორ ნი ის მო და სიმ ღე რა
D7 1 2 Am7 D7
შო რი სიზ მარ... და ჩუ მად დნე ბო და ღა მე
Gmaj E7 Am7
გა ი ღი მე ეგ ღი მი ლი გის დე ბა
D7 D7 Gmaj D7 Gmaj
ღმერთ მა შე ნი სი ლა მა ზე ი ნე ბა გა ი ღი მე
E7 Am7 Cm Em7 A9
ჩი ტი გა მოფ რინ დე ბა ეგ სუ რა თი სახ სოვ რად მა რად ჩემ თან იქ ნე
Dsus
ბა

# ჯორჯია

**Allegretto**



# გშორდი, გშორდი



# იერუშალაიმ


Adagio
D B♭dim Bm Bm/A
წმინ და ო წმინ და ო ქა ლა ქო
G G♯dim D D7 G
თეთ რად ნა გე ბო მზის ა რა კო შენ ზე მგოს ნე ბი
G♯dim D B7 Em7
მღე რი ან შენ თან შეხ ვედ რას ე ლი ან წმინ და ო
Asus D Dsus D7 G G♯dim
წმინ და ო ქა ლა ქო შენ ზე მგოს ნე ბი მღე რი ან
D B7 Em7 Asus D
შენ თან შეხ ვედ რას ე ლი ან წმინ და ო წმინ და ო ქა ლა ქო
D A B♭dim Bm Bm/A G D/F♯
იე რუ შა ლაიმ იე რუ შა ლაიმ დაგ ნა თის და ვი თის
31
Em7 A+3 A7 1. A+3 A7
წმინ და ვარს კვლა ვი გი სურ... ვი

# ილია


Allegretto
G C/G G C/G
მთვა რე ჰყვე ბა ლე გენ დას — უს მენს მი წა დაღ ლი ლი —
D Em Am7 D7
სიზ მრად შე მო ი ხე დავს — სა უ კუ ნე ჩავ ლი ლი —
G C/G G C/G
დგას ბერ მუ ხა მძლავრ ფესვ ზე — მუმ ლი შე მო ხვე ვი ა —
D Em Am D7
და ი ლი ას თვა ლებ ზე — სა ქარ თვე ლოს ცრემ ლი ა —
G Em7 Am7 Bm7 Em D/F♯ G
ეს სა წურ თო ა სე ა — მი ვალთ მი ვე დი ნე — ბით
Am7 G7 G+7
გუ ლი რწმე ნით სავ სე ა — სა ქარ თვე ლოს შვი ლე ბის —
Am7 Bm7 Em D/F♯ G Am7 D7
ეს სა წურ თო ა სე — ა მო მა ვა ლი კარ ზე ა —
G7/F C+7 Am7 D7 G Dsus
ნი ჭით გა მოვ ბრწყინ დე ბით — ნი ჭით გა მოვ ბრწყინ დე — ბით

# ის მარტოდმარტო

**Adagio**




E D/F♯ E/G♯
კუ თარ თავ ხაც მო ბეზრ და ი გი
A A/C♯ E+3 E7
ო მარ ტო ო ბავ გარ თო ბავ ღმერ თის ა უ
Bm Bm/D F♯7/A♯ F♯7
წე ვე ლო ხიმ ძი მევ კაც თა ნუ გე შად
D A/C♯ Bm E/G♯ E7
გვერ გო ჩვენ ერთ მა ნე თი ვით უკვ და ვე ბის მაც დუ რი
A A♯dim Bm E7 A
განც და ვით უკვ და ვე ბის მაც დუ რი განც და

# ისე რა

**Presto**



# ლამპიონები


Andante
რეჩიტატივი: პირველ ნაბიჯებს დგამ ესტრადაზე და ეს სამყარო
ზღაპარს წააგავს სასწაულებით ის არის სავსე ბედნიერ ღიმილს ცრემლიც თან ახლავს
არ გეშინია? არა! მე მა ო ცე ბენ ლამ პი ო ნე ბი ამ ლა
მაზ სცე ნას რომ ა ნა თე ბენ მე მოვ
დი ო დი თქვენ სკენ ოც ნე ბით და თუ
ავ მღერ დი ნუ გა მა ჩე რებთ

# ლიანები

**Andante**



# ლურჯი თვალები



# მარჩელო

**Allegro**



# მეზობელო კარისაო

**Allegretto**



# მშვიდობა თქვენდა



# მუზა

**Allegro**



# ორერას ბილეთები



# პატეფონი

**Allegretto**



# ფოთოლცვენა


Adagio
C G G♯dim
ი სევ იმ ღე რებს იმ ღე რებს
Am A7 Dm G7
გუ ლი თუნ დაც და ი წყოს დღეს ფო თოლ
C C7 Fmaj E7
ცვე ნა სატრ ფოს და ე ძებს ყვე ლა
Am A7 Dm G7
სულ დგმუ ლი სუ ყვა რულს ით ხოვს ამ ქვეყ ნად
C C7 Fmaj E7
ყვე ლა სატრ ფოს და ე ძებს ყვე ლა
Am A7+5 Dm7 G7
სულ დგმუ ლი სიყ ვა რულს ი თხოვს ამ ქვეყ
C 1. C
ნად ყვე ლა და შენ... და კვდე ბა

# როცა თოვლი მოვა

**Moderato**



# რომელი წელია

**Allegro**



# სადღაც


Allegretto
D F♯m
სადღაც ბინ დი ა სად ღაც სხი ვი ა ვი ღაც
D7 Em G D
პა ტარ ძალს რთავს თუ შე ნი გუ ლი უკ ვე სხვი სი ა
F♯dim F dim E dim D 1. D F
რად მინ და რად შე ნამ... რად პა ტა რა გო გო გვერ დით
Bm G A7 D7
ჩა მივ ლის და გა უ ღი მებს სხვას თუ ის
F Bm G A
გო გო ნა უკ ვე სხი სი ა რად მინ და რად

# შალომ ლეხაიმ

**Allegro**




Em
Em
აქ კუ ლა ში იქ ხუ ლო ნი აქ კუ ლა ში იქ ხუ ლო ნი
B7
B7
Em
E7
ქარ თველ თა და ებ რა ელ თა სიყ ვა რუ ლის მა რა თო ნი
Am
Am
თე ლა ვი და თე ლა ვი ვი თე ლა ვი და თე ლა ვი ვი
Em
Em
ბა თუ მი და ბა თი ა მი ბა თუ მი და ბა თი ა მი
B7
B7
Em
როგორც წე სით სხვე ბი გვა ნან ჩვე ნი გუ ლიცმსგავ სი ა რის

# თამუნას, ხათუნას

**Allegro**



# თეთრი გოგო

**Andante**



# ტკბილისო

**Moderato**



# ტყის ზღაპარი

**Allegro**



# თოვლი


Andante
თოვ ლი თეთ რად ფე რავს ჩა ძი ნე ბულ ქა ლაქს
და მთე ლი წლის ცოდ ვებს თეთრ სა ფარ ქვეშ მა ლავს
თოვ ლი ნე ლა ნე ლა ფი ფქზე ა ფენს ფიფქს
ახ ლა იწ ყებს ყვე ლა შეც დო მებ ზე ფიქრს
თოვ ლი ნე ლა ნე ლა ფი ფქზე ა ფენს ფიფქს
ახ ლა იწ ყებს ყვე ლა შეც დო მებ ზე ფიქრს
თოვს მთე ლი დღე თოვს თოვს მთე ლი დღე
თოვ ლი ყვე ლა ფერს ფა რავს მო გო ნე ბებს კი ვერ

# თოვლი მოდის არემარე

**Presto**



# წინ ბათუმის დინამო

**Allegro**

მუსიკა და ლექსი
ნუგზარ ერგემლიძის

